ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №32

აბაშა, 2023 წლის 9 ივნისი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ,გ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

1.მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს სოფ. ტყვირში №5 ქუჩიდან ტყვირის ტაძრის მიმართულებით ცემენტო-ბეტონის გზის მოწყობისა და ქ. აბაშაში ქუჩიშვილის ქუჩა და მისი შესახვევები ასფალტო-ბეტონის მოწყობის სამუშაოების შესრულების ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს და შეადგენს 1 448 399.73 ლარს დღგ-ის გათვალისწინებით.

2.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: სენაკი, რუსთაველის ქ. № 247).

3.განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გ. ბოშტარია